შედარების გამომხატველი სინტაქსური კონსტრუქციები გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველის“ მიხედვით

ფილაშვილი ელენე
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: https://doi.org/10.52340/tuw.2025.38.01.12

აბსტრაქტი: *სტატიაში განხილულია შედარების გამომხატველი სინტაქსური კონსტრუქციები გურამ დოჩანაშვილის „სამოსელი პირველის“ მიხედვით, ამჯერად შევჩერდით მხოლოდ კავშირებით გადმოცემულ შედარებაზე, რომელიც რთულ სინტაქსურ კონსტრუქციებში ვლინდება. შედარების გამომხატველი სინტაქსური კონსტრუქციებით მწერალს მიუღია შემდეგი შედარებები:*

მსგავსებითი შედარება. *იგი მწერალთან მიღებულია* ***ვითარცა*** *და* ***როგორც*** *კავშირებით. შედარების გამომხატველი დამოკიდებული წინადადება მწერალთან ხშირად უსრულია, გამოტოვებულია ზმნა-შემასმენელი, კავშირი „როგორც“ ყოველთვის დამოკიდებულ წინადადებაშია, ვითარების ზმნიზედა „ისე“ კი - მთავარში: „ისე იყვნენ ერთმანეთთან,* ***როგორც ცუდი ძაღლი და ცუდი კატა“.*** *ზოგჯერ მისათითებელი ზმნიზედა* ***„ისე“*** *ელიფსურად არის წარმოდგენილი: „მწვადი ცვრიანი უნდა იყოს, კარგი, გემრიელი,* ***როგორც კარგი ქალი“.*** *მწერალთან მსგავსებითი შედარება ვითარების გარემოებითი დამოკიდებული ჰიპოტაქსური კონსტრუქციით გადმოიცემა.*

სხვაობითი შედარება. *საკავშირებელ საშუალებად მწერალთან გვევლინება კავშირი* ***ვიდრე:*** *„საკვირველი იყო, ყურებს რაღაცნაირად მეტი სიმკვირცხლე ეტყობოდა,* ***ვიდრე*** *მის შავად ამღვრეულ თვალებს“ - აქ შედარება გულისხმობს ორი მოვლენის ერთმანეთთან დაპირისპირებას. „იმ მოგუდული დაკვრის გაგონება* ***უფრო*** *მტკივნეული იყო ლეოპოლდისთვის,* ***ვიდრე*** *აივნიდან გადმოფენილი შავი ფარდის დანახვა“ -აქ სხვაობა ხარისხშია, მთავარ წინადადებაში* ***„უფრო“*** *-ზმნიზედა დართული შემასმენელი შეესაბამება.*

იგივეობითი შედარება. *იგი ჩვეულებრივ დანართის სახითაა მოცემული. „ისევე* ***როგორც*** *ყველა ნამდვილ ქალს, კარგად ახსოვდა რა კაბა ეცვა“.*

შეფარდებითი შედარება*. მწერალი იყენებს კავშირებს:* ***რამდენადაც, რამდენიც*** *და* ***რაც:*** *„ისიც იცოდე, დომენიკო,რომ მით უფრო თავზეხელაღებულია ქვედა კამორელი,* ***რამდენადაც*** *უფრო ზრდილობიანად გებაასება“; „ქვეყნად სწორედ იმდენი დაღმართია,* ***რამდენიც*** *აღმართი“. კავშირი* ***რაც*** *გვხვდება შეფარდებითი შედარების ფუნქციით, იგი გვევლინება ხარისხში შეფარდების გამომხატველი საკავშირებელი ერთეულის როლში: „დედამიწაზე არ არსებობს იმაზე მეტი სიკეთე,* ***რაც*** *თვალია“.*

ირეალური შედარება*. იგი მწერალთან გამოიცემა „****ვითომ/ც“*** *და „****თითქოს“*** *კავშირებით, რომელიც სიახლოვეს, ვარაუდს გამოხატავს ირეალურად. დამოკიდებული წინადადება ხშირ შემთხვევაში მოსდევს მთავარს, იშვიათად კი უსწრებს მას, მთავარ წინადადებაში ზოგჯერ მოგვეპოვება მისათითებელი ზმნიზედა* ***„ისე“,*** *ან გამოტოვებულია და აღდგენას ექვემდებარება: „ისე ჩამობნელდა ზეს ქოხში,* ***ვითომც*** *დაღამდა“;* ***თითქოს*** *კავშირის საშუალებით აზრი მტკიცების ფორმით ვლინდება, ერთი ობიექტი მეორეს ჰგავს: „სახე ისე დაეძაბა,* ***თითქოს*** *რაღაც შორეულს ყურს უგდებდა“.*

ვფიქრობ, რომ გურამ დოანაშვილის თხზულებათა ენაში სინტაქსური კონსტრუქციებით გადმოცემული შედარება განსაზღვრავს მწერლის ენის თავისებურებებს,

რაც მის ინდივიდუალურობას, ორიგინალურობასა და გამორჩეულობას უსვამს ხაზს.

საკვანძო სიტყვები: *გურამ დოჩანაშვილი, მსგავსებითი შედარება, სხვაობითი შედარება, იგივეობითი შედარება, შედარებითი შედარება, ირეალური შედარება, სინტაქსური კონსტრუქციები.*

გურამ დოჩანაშვილის შემოქმედება მრავალფეროვანია, უხვი მხატვრული ხერხებითა და სინტასური კონსტრუქციებით დატვირთული, რომელიც ბუნებრივია, განაპირობებს ტექსტის ესთეტიკურ-ემოციურ ფუნქციას. ამასთანავე განსაზღვრავს მის ადგილსა და ემოციურ დატვირთვას ქართულ მწერლობაში. ძალზედ ორიგინალურია გურამ დოჩანაშვილის პროზის სტილი, სადაც მჟღავნდება შემოქმედის მხატვრული თავისებურებები,სამყაროს აღქმა,მისიმსოფლხედვა და სხვა.

„შედარება უნივერსალური მოვლენაა, გნოსეოლოგიური თვალსაზრისით იგი საფუძველთა საფუძველია ყოვეგვარი შემეცნებისა: ნებისმიერი ცნება თავისთავად წარმოადგენს რაღაც შედარების შედეგს“ (კვაჭანტირაძე, 1978, 6). „შედარება-შეპირისპირების შედეგია ობიექტთა ნიშნებს შორის ეკვივალენტის, მსგავსების, განსხვავების, იგივეობის კონსტატაცია, რაც საბოლოო ჯამში ცნებად გამოიკვეთება ხოლმე“ (კვაჭანტირაძე, 1978, 6).

მწერლის ენაში მხატვრულ შედარებას, როგორც მსგავსების ნიშანს მნიშნელოვანი ადგილი უკავია, შედარების საშუალებით გარესამყაროს უკეთ შევიცნობთ. კიდევ უფრო თვალსაჩინო და საინტერესოა შედარების გამოხატვა რთულ სინტაქსურ კონსტრუქციებში, რომელიც კავშირის საშუალებით მიიღწევა.

გურამ დოჩანაშვილის თხზულებათა ენაში შედარება შექმნილია როგორც გრამატიკული კავშირებით, ისე თანდებულებითა და ცალკეული სიტყვებით. ამჯერად შევჩერდებით მხოლოდ კავშირებით გადმოცემულ შედარებაზე, რომელიც რთულ სინტაქსურ კონსტრუქციებში ვლინდება.

„ისეთი წინადადება, რომელსაც შედარება უდევს საფუძვლად, და ამავე დროს, ვითარების გარემოებასაც გამოხატავს, ვითარებით-შედეგობითი წინადადების კონსტრუქციას ქმნის“ (ძიძიგური, 1973;146).

„შედარება შეიძლება მოხდეს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით - მსგავსების, სხვაობის, იგივეობისა და შეფარდების საფუძველზე. ამის მიხედვით გვექნება მსგავსებითი შედარების, სხვაობითი შედაფრების, იგივეობითი შედარებისა და შეფარდებითი შედარების კავშირები“ (ძიძიგური, 1973;146).

ცალკე გამოიყოფა არარეალური და ირეალური ტიპის შეფარდება, როდესაც შედარების კატეგორია მოჩვენებითია“(ძიძიგური, 1973;146).

გვხვდება თავისებური კონსტრუქციების, კერძოდ, ვითარებით-შედარებითი კავშირის შემცველი წინადადებაც, რომელიც გარკვეულ შემთხვევაში უშემასმენლოა და წინანადების ეკვივალენტია, ანდა შესადარებელ ოდენობად დანართი წარმოადგენს.

გურამ დოჩანაშვილის სამოსელი პირველის ენაში ყურადღებას იქცევს შედარების გამომხატველის სინტაქსური კონსტრუქციები, რომლის მეშვეობითაც მწერალს მიუღია შემდეგი შედარებები: 1. მსგავსებითი შედარება; 2. სხვაობითი შედარება; 3. იგივეობითი შედარება; 4. შედარებითი შედარება და 5 ირეალური შედარება. აღნიშნული შედარებების გადმოსაცემად მთელი ხვედრითი წილი კავშირს ენიჭება.

1. მსგავსებითი შედარება

ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადების ერთ-ერთი

ნიშანდობლიობაა მსგავსებითი შედარების გამოხატვა.

მსგავსებითი შედარება დაფუძნებულია „შესადარებელ ერთეულთა მსგავსებაზე, რაიმე ნიშნით დამგვანებაზე“ (ძიძიგური, 1973;147). საკავშირებელ საშუალებად მწერალთან გამოიყენება კავშირები **ვითარცა** და **როგორც.**
აღსანიშნავია, რომ მწერალთან **„როგორც“** ზმნიზედის მნიშვნელობისაა **„ვითარცა“.**

კავშირი **ვითარცა** დამახასიათებელია ძველი ქართულისათვის. გურამ დოჩანაშვილი მას იყენებს ძველი ქართული ნორმების მიხედვით, მწერალთან აღნიშნული კავშირი დასტურდება მხოლოდ ხუთ შემთხვევაში:

„დავაშავე შენს წინაშე და წინაშე კიდე მრავალთა სხვათა და არღარა ვარ ღირსი შენი შვილი რომ მერქვას, არამედ მიმიღე მე **ვითარცა** ერთი მუშაკთაგანი“ (დოჩანაშვილი; 2011: 396);

„სულს ძლივს ითქვამდა, და, თავდახრილმა დააყოლა, - არამედ მყავ მე **ვითარცა** ერთი მუშაკთაგანი“ (დოჩანაშვილი; 2011: 400);

„მამაო, ვცოდე ცად მიმართ და წინაშე შენდა, და არღარა ვარ მე წოდებულ ძედ შენდა, არამედ მყავ მე **ვითარცა** ერთი მუშაკთაგანი, **ვითარცა** ერთი მუშაკთაგანი“(დოჩანაშვილი; 2011: 396).

ჩანს, მწერალი იყენებს ბიბლიიდან ამონარიდს ვითარცა კავშირით მსგავსებითი შედარების გადმოსაცემად. დამოკიდებული წინადადება ყველა განხილულ შემთხვევაში იკავებს წინადადების ბოლო პოზიციას.

მსგავსებით შედარების გადმოსაცემად მწერალთან დიდი სიხშირით გვხვდება კავშირი **როგორც.** იგი დამახასიათებელია საშუალო და ახალი ქართულისთვის „როგორ ფუძის საკავშირებელი ერთეული შედარების ფუნქციით, რომელსაც ჩვეულებრივ ერთვის -ცა ნაწილაკი“ (ძიძიგური. 1973: 156). გურამ დოჩანაშვილი აქტიურად იყენებს აღნიშნულ კავშირს -ც ნაწილაკიან ფორმას:

„ძალიან უყვარდა კოხტა, პატარა მიმინო, **როგორც არწივი,** ისე მიმინო, მსწრაფლ იჭერდა მისთვის მწყერებს“ (დოჩანაშვილი; 2011: 190);

„ისე კი არ ყვითლდებოდა **როგორც** სხვაგან - ბაცი, ძალიან ბაცი ყვითელი დაჰკრავდა“ (დოჩანაშვილი; 2011: 12).

შედარების გამომხატველი დამოკიდებული წინადადება გურამ დოჩანაშვილის თხზულებათა ენაში ხშირად უსრულია, გამოტოვებულია ზმნა-შემასმენელი, ასეთი რამ მაშინ ხდება, როცა მთავარსა და დამოკიდებულს საერთო სიტყვა მოეპოვება, რომელიც დასახელებულია მთავარში და დამოკიდებულში ადვილად იგულისხმება. ასეთი უსრული დამოკიდებული წინადადება მოსდევს მთავარს. აღნიშნული სახის კონსტრუქციაში ნიშანდობლივია მსგავსების ფუნქციის მატარებელი მაქვემდებარებელი **კავშირი როგორც** და **ვითარების ზმნიზედა ისე,** რომელთა შერწყმა გვაძლევს წყვილს **ისე-როგორც**, კავშირი „როგორც“ ყოველთვის დამოკიდებულ წინადადებაშია, ვითარების ზმნიზედა „ისე“ კი - მთავარში:

„ისე იყვნენ ერთმანეთთან**, როგორც ცუდი ძაღლი და ცუდი კატა“** (დოჩანაშვილი; 2011: 104);

„სამი კაცი ერთმანეთს რომ დაადგეს, მაინც ვერც ერთი ჭანგი იმას ისე კოხტად ვერ ჩამოიღებს, **როგორც კატა“** (დოჩანაშვილი; 2011: 198);

მწერალთან მსგავსებითი შედარების გამომხატველ კონსტრუქციაში მისათითებელი ზმნიზედა **„ისე“** ზოგჯერ გამოტოვებულია, იგი ელიფსურად არის წარმოდგენილი:

„მწვადი ცვრიანი უნდა იყოს, კარგი, გემრიელი, **როგორც კარგი ქალი** (დოჩანაშვილი; 2011: 72);

„იმ უპატრონოს ნაღდად დასწვავენ, **როგორც დამნაშავეს** და მეორეს კი მუხის კუბოთი მიაბარებენ მიწას“ (დოჩანაშვილი; 2011: 294);

„მისი სიტყვა უბრალო და ცხადი უნდა იყოს, **როგორც** ნაკადულის ფსკერზე დაგდებული კენჭი“ (დოჩანაშვილი; 2011: 112).

ნათელია, რომ მწერალთან მსგავსებითი შედარება ვითარების გარემოებითი დამოკიდებული ჰიპოტაქსური კონსტრუქციით გადმოიცემა.

2. სხვაობითი შედარება

რაც შეეხევა სხვაობით შედარებას - „ორ შესადაფრებელ ერთეულთა შორის შესაძლოა მოხდეს შედარება არა მხოლოდ მსგავსების მიხედვით, არამედ რომელიმე განმასხვავებელი ნიშნის საფუძველზეც. ამ კატეგორიის შედარებას **„სხვაობით შედარებას“** უწოდებენ (ძიძგური; 1973: 158). სხვაობითი შედარება ორ ქვეჯგუფს გვაძლევს: ერთი მხრივ გამოიყოფა ისეთი სხვაობითი შედარება, რომელიც დაფუძნებულია დიამეტრიულად საპირისპირო ნიშანზე, ხოლო მეორე მხრივ, ვღებულობთ ისეთ შედარებას, რომელიც ემყარება ხარისხში განსხვავებას“(ძიძიგური; 1973:158). საკავშირებელ საშუალებად რთულ სინტაქსურ კონსტრუქციებში გამოყენებულია **ვიდრე, ვინმე, ვინემ** - კავშირები. გურამ დოჩანაშვილი სხვაობითი შედარების გადმოსაცემად სინტაქსურ კონსტრუქციებში იყენებს **ვიდრე** კავშირს:

„და **ვიდრე** ის სამი კამორელი ნახირს შორის მიმოდიოდა, შენმა მამალმა იყივლა, ტუგო“ (დოჩანაშვილი; 2011: 284);

„საკვირველი იყო, ყურებს რაღაცნაირად მეტი სიმკვირცხლე ეტყობოდა, **ვიდრე** მის შავად ამღვრეულ თვალებს“(დოჩანაშვილი; 2011: 80). - აქ შედარება გულისხმობს ორი მოვლენის ერთმანეთთან დაპირისპირებას.

„იმ მოგუდული დაკვრის გაგონება **უფრო** მტკივნეული იყო ლეოპოლდისთვის, **ვიდრე** აივნიდან გადმოფენილი შავი ფარდის დანახვა“ (დოჩანაშვილი; 2011:101). -აქ სხვაობა ხარისხშია, მთავარ წინადადებაში **„უფრო“** -ზმნიზედა დართული შემასმენელი შეესაბამება.

„ეს ბევრად **უფრო** ძნელი რამ გახლდათ, **ვიდრე** მასაის შუბით ლომის მოკლვლა“ (დოჩანაშვილი; 2011: 246);

„ჭეშმარიტად გულადი კაცი რომ გახდე, რაღაც **უფრო** ღირსეულისათვის უნდა იბრძოლო, **ვიდრე** ეს გაავებული ხარი თუ გაცოფებული კამეჩია“ (დოჩ. 2011: 271);

„შენი თოთო ტვინი გაცილებით უფრო ძნელი დასამუშავებელია, **ვიდრე** კალაბრიის მიწა“ (დოჩანაშვილი; 2011: 170).

3. იგივეობითი შედარება

ახალ ქართულში **როგორც** კავშირმა სპეციალური მნიშვნელობა შეიძინა; „იგი ფუნქციის აღმნიშვნელია და იმდენად შედარებას არ გამოხატავს, რამდენადაც იგივეობაზე მიუთითებს“ (ძიძიგური, 1973: 160). ასეთ შედარებას **„იგივეობით შედარებას** უწოდებენ, ხოლო სათანადო კავშირს **„იგივეობითი შედარების კავშირად** მოიხსენიებენ“ (ძიძიგური, 1973:160).

იგივეობითი შედარება ჩვეულებრივ დანართის სახითაა მოცემული, შესადარებელი ერთეულის გამომხატველი სიტყვები ერთმანეთს ეთანხმებიან ბრუნვასა და რიცხვში:

„ისევე **როგორც** ყველა ნამდვილ ქალს, კარგად ახსოვდა რა კაბა ეცვა“ (დოჩანაშვილი; 2011: 145);

„მე კი - იგი მიყვარს, ისევე **როგორც** ყველა თქვენგანი“ (დოჩანაშვილი; 2011: 105);

„შენ ისეთივე კარგი ხარ, **როგორც** ყველა, მაგრამ ისევე დაბინდული გაქვს გონება, როგორც ყველას“ (დოჩანაშვილი; 2011: 111).

4. **შეფარდებითი შედარება**

საენათმეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ „ისეთ კონსტრუქციას, როდესაც შესადარებელ ერთეულებს შორის არის შეფარდებითი მიმართება, პროპორციული დამოკიდებულება, - ამგვარი შედარება გამოხატავს ან ხარისხში შეფარდებას, ამდა რაოდენობრივ შეფარდებას“ (ძიძიგური;161). **შეფარდებითი შედარების** გამომხატველ კავშირს უწოდებენ „**შეფარდებითი შედარების კავშირს“** (ძიძიგური,1973: 161), სათანადო ნიშნები ჩამოყალიბდა ძველ ქართულში, გავრცელდა საშუალო და ახალ ქართულშიც. ახალ ქართულში გამოყენებულია: **რამდენადაც, რამდენიც** და **რაც:**

„რამდენიც გინდა, იმდენი ვილაპარაკოთ“ (დოჩანაშვილი; 2011: 35);

„რამდენიც არ უნდა ვეჩიჩინო, ის მაინც ისეთი იქნება, როგორიც არის - ქაღალდის მოთამაშე“ (დოჩანაშვილი; 2011: 150);

„ისიც იცოდე, დომენიკო,რომ მით უფრო თავზეხელაღებულია ქვედა კამორელი, **რამდენადაც** უფრო ზრდილობიანად გებაასება“ (დოჩანაშვილი; 2011: 289);

„ქვეყნად სწორედ იმდენი დაღმართია, **რამდენიც** აღმართი“ (დოჩანაშვილი; 2011: 266);

„ზოგს კი გრძელი ჭოკი მოემარჯვებინა და **რამდენადაც** შეეძლო, სილაში ღრმად ასობდა“ (დოჩანაშვილი; 2011: 138);

„ხარჯთაღრიცხვაში ფულს, **რამდენსაც** მოითხოვ, იმდენს მიიღებ“ (დოჩანაშვილი; 2011: 309).

კავშირი „რაც“ გამოყენებულია შეფარდებითი შედარების ფუნქციით, იგი გვევლინება ხარისხში შეფარდების გამომხატველი საკავშირებელი ერთეულის როლში.

„დედამიწაზე არ არსებობს იმაზე მეტი სიკეთე, **რაც** თვალია“ (დოჩანაშვილი; 2011: 361);

„რაც ვარ, ეს ვარ“ (დოჩანაშვილი; 2011: 331);

„მაინც დაგბრიდავთ, **რაც** არ უნდა გიჟად მოგაჩვენოთ თავი“ (დოჩანაშვილი; 2011: 382);

„და მაგ სამოსელს, **რაც** უფრო მეტ ხალხს გადააწვდენ და გადააფარებ, უფრო მდიდარი შეიქმნები“ (დოჩანაშვილი; 2011: 410).

5. **ირეალური შედარება**

ირეალური შედარების გადმოსაცემად ახალ ქართულში გვხვდება „**ვითომ/ც“** და „**თითქოს“** კავშირები. ორივე კავშირს აქტიურად იყენებს მწერალი. აღნიშნული კავშირები სიახლოვეს, ვარაუდს გამოხატავს ირეალურად. დამოკიდებული წინადადება ხშირ შემთხვევაში მოსდევს მთავარს, იშვიათად კი უსწრებს მას, მწერალთან მთავარ წინადადებაში ზოგჯერ მოგვეპოვება მისათითებელი ზმნიზედა **„ისე“,** ან აღდგენას ექვემდებარება:

„ზოგი ოხერი ხანდახან განგებ იგინება - **ვითომ** ინტელიგენტია“ (დოჩანაშვილი; 2011:290);

„ისე ჩამობნელდა ზეს ქოხში, **ვითომც** დაღამდა“(დოჩანაშვილი; 2011: 360);

„მათრახს ღონივრად მოიქნევდა და **ვითომ** მტკივნეულად გადაუშხივლებდა ცხენებს“ (დოჩანაშვილი; 2011: 224);

„თიხის გუნდას გულისპირში ჩაიდებდა, **ვითომც** არხეინად ჯიბეში ხელჩაწყობილი დაბალი ღიღინით შედიოდა ჭიშკარში“ (დოჩანაშვილი; 2011: 363).

„ვითომ შორიდან ღიღინ-ღიღინით მოემართებოდა და სულაც ვერ ამჩნევდა“ (დოჩანაშვილი; 2011: 311).

ახალ სალიტერატურო ქართულში ირეალური შედარების კავშირად დამკვიდრებულია **თითქოს.** ირეალური შედარების კონსტრუქციაში აზრი მტკიცების ფორმით ვლინდება, ერთი ობიექტი მეორეს ჰგავს. აღნიშნული კავშირი ირეალური შედარების გადმოსაცემად დიდი სიხშირით დასტურდება გურამ დოჩანაშვილის თხზულებათა ენაში.

„მართლა ისეთია, **თითქოს** გველი შევარდაო ბუჩქებში"(დოჩანაშვილი; 2011: 36);

„სახე ისე დაეძაბა, **თითქოს** რაღაც შორეულს ყურს უგდებდა" (დოჩანაშვილი;2011: 61);

„დაბნეული ცილიო კი შებრუნდა და ახალმოსულს ისე მიაჩერდა, **თითქოს** პირველად ხედავდა" (დოჩანაშვილი; 2011: 82);

„ცოდვამორეულს, გამოუცნობი შიში კაწრავდა, მიწაზე უსვამდა სამართებელს, **თითქოს** აჟრიალებდა" (დოჩანაშვილი; 2011: 379);

„დინჯად, მძიმედ გადიოდა შავად დაგუდული ღამე, **თითქოს** ყოველივეს ეძინა" (დოჩანაშვილი; 2011: 348);

„და **თითქოს** ლტოლვილის ნათქვამი გულს ჩაეჭიდა, ისე იკითხა" (დოჩანაშვილი; 2011: 20).

ვფიქრობ, რომ გურამ დოანაშვილის თხზულებათა ენაში სინტაქსური კონსტრუქციებით გადმოცემული შედარება განსაზღვრავს მწერლის ენის თავისებურებებს, რაც მის ინდივიდუალურობას, ორიგინალურობასა და გამორჩეულობას უსვამს ხაზს.

ლიტერატურა:.

1. კვაჭანტირაძე, თ. (1978). მსგავსებითი შედარება ქართულში. თბილისი: თესაუს გამომცემლობა.
2. მარინა კუხალაშვილი, თამარ ლომთაძე, მანანა მიქაძე, იზოლდა რუსაძე, მარინა ქაცარავა, ნინო ფხაკაძე, (2007). პრაქტიკული სტიკისტიკა. გამომცემლობა „ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი".
3. ერთელიშვილი, ფ. (1962). რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. კვაჭაძე, ლ. (1996). თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. თბილისი: გამომცემლობა „რუბიკონი".
5. ფეიქრიშვილი, ჟ. (1996). ქართული ენის სინტაქსი. ქუთაისი: სააქციო საზოგადოება „სტამბის„ საგამომცემლო ცენტრი.
6. ძიძიგური, შ. (1973). კავშირები ქართულ ენაში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

საანალიზო წყარო:

1. გურამ დოჩანაშვილი 2011-გურამ დოჩანაშვილი, „სამოსელი პირველი". გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი. 2011.

Syntactic Constructions Expressing Comparison in Guram Dochanashvili's 'Samoseli Pirveli' [The First Garment]

Pilashvili Elene
Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi

Abstract

The article discusses syntactic constructions expressing comparison according to Guram Dochanashvili's "**Samoseli Pirveli**" [*The First Garment*]. The writer created comparison by grammatical conjunctions, by prepositions and separate words. This time we will focus only on the comparison expressed by conjunctions, which appears in complex syntactic constructions. Using syntactic comparison constructions, the author obtained the following comparisons:

Similative comparison. Here the writer uses conjunctions **„ვითარცა"** [vitartsa] (*as, like)* and

"როგორც" [rogorts] (*as, like).* In Guram Dochanashvili's writing, a subordinate clause expressing comparison is often incomplete; the verb-predicate is omitted, the conjunction **"როგორც"** [rogorts] is always in the subordinate clause, and the adverb **"ისე"** [ise] *(so/such/in that way/like that.)* is in the principal clause: „ისე იყვნენ ერთმანეთთან, **როგორც ცუდი ძაღლი და ცუდი კატა"** (They were to each other, like a bad dog and a bad cat.) Sometimes the adverb "ისე" [ise] (so/such/in that way/like that.) is omitted, which is presented elliptically: „მწვადი ცვრიანი უნდა იყოს, კარგი, გემრიელი, როგორც კარგი ქალი" (The mtsvadi (barbecue) must be succulent, fine, and flavorful—just like a fine woman). The writer expresses the similative comparison by an adjunctive subordinate hypotactic construction.

Contrastive comparison. The writer uses the conjunction **"ვიდრე** [vidre] (*than)* as a connecting means in complex syntactic constructions: „საკვირველი იყო, ყურებს რაღაცნაირად მეტი სიმკვირცხლე ეტყობოდა, **ვიდრე** მის შავად ამღვრეულ თვალებს" (It was strange, his ears were somehow more lively, **than** his dark dull eyes) - Here comparison implies a contrast between two events. „იმ მოგუდული დაკვრის გაგონება **უფრო** მტკივნეული იყო ლეოპოლდისთვის, **ვიდრე** აივნიდან გადმოფენილი შავი ფარდის დანახვა" (Hearing that muffled playing was **more** painful for Leopold **than** seeing the black curtain hanging from the balcony) - here the difference is in degree, in the principal clause **"უფრო"[upro]** ***(more)*** **-** adverb corresponds to the predicate it belongs to.

Equal comparison. It is usually given as an adjunct. „ისევე **როგორც** ყველა ნამდვილ ქალს, კარგად ახსოვდა რა კაბა ეცვა" (**Like** all real women, she remembered very well what dress she was wearing).

Relative comparison. To express the given comparison, the writer uses conjunctions: "**რამდენადაც" [ramdenadats] (*the more ... the more, as far as),*** **"რამდენიც" [ramdenits] (*as many/much as)*** and **"რაც" [rats] (*that)*:** „ისიც იცოდე, დომენიკო,რომ მით უფრო თავზეხელაღებულია ქვედა კამორელი, **რამდენადაც** უფრო ზრდილობიანად გეპაასება" (So know, Domenico, that t**he more** politely a resident of Lower Camora converses with you, **the more** desperate he is); „ქვეყნად სწორედ იმდენი დაღმართია, **რამდენიც** აღმართი" (There are exactly **as many** descents in the world **as** there are ascents). The conjunction **"რაც"** [rats] ***(that)*** is used for relative comparison; it acts as a connecting unit expressing a relationship to a degree: „დედამიწაზე არ არსებობს იმაზე მეტი სიკეთე, **რაც** თვალია" (There is no greater good on earth, **that** is an eye).

Irreal comparison. The writer expresses irreal comparison with the conjunctions **„ვითომ/ც"** [**vitom/ts**] (***as if)*** and **„თითქოს" [titkos] (*as though /as it were)*** which express proximity, assumption in an irreal way. The subordinate clause often follows the principal clause, but rarely precedes it. In the principal clause the adverb **„ისე"** [**ise**] ***(so)*** is sometimes found, or it is omitted and is a subject to restoration: „ისე ჩამობნელდა ზეს ქოხში, **ვითომც** დაღამდა" (It got **so** dark in Ze's cabin, **as if it were** night); „ზოგი ოხერი ხანდახან განგებ იგინება - **ვითომ** ინტელიგენტია" (Some scoundrels sometimes swear deliberately - **as if** they were intelligent). By means of the uconjunction **"თითქოს"** [**titkos**] ***(as if/as through)***, in the construction of an irreal comparison, the thought is conveyed affirmatively: one object resembles another: „სახე ისე დაეძაბა, **თითქოს** რაღაც შორეულს ყურს უგდებდა" (His face became tense, **as if** he were listening to something distant).

I believe that the comparisons expressed through syntactic constructions in the language of Guram Dochanashvili's writing define the features of the writer's language, emphasizing his individuality, uniqueness, and distinctiveness.

Keywords: Guram Dochanashvili, similative comparison, contrastive comparison, equal comparison, relative comparison, irreal comparison, syntactic constructions.